3713-15-3-2-201904021049

N 15-3/3713
02/04/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებისთვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

2019 წლის 13 თებერვალს ჩემი რწმუნებული შეხვდა და გაესაუბრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ს. ; განმარტებით, 2019 წლის 8 და 12 თებერვალს ვერ შეძლო სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე (14 81) დაკავშირება მისთვის უცნობი მიზეზით. ამასთან, სხვა სატელეფონო ნომერზე შეუფერხებლად შეძლო ზარის განხორციელება. ჩემი რწმუნებული

მსჯავრდებულის პრეტენზიის ადგილზე გადამოწმების მიზნით შეეცადა [redacted] კუთვნილი ბარათის მეშვეობით აპარატთან ცხელი ხაზის მეშვეობით დაკავშირებას, თუმცა ზარის განხორციელება ვერ მოხერხდა.

პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში ვიზიტის დასრულების შემდეგ ჩემს რწმუნებულს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა განუმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზი გასწორდა და სურდა აღნიშნულის გადამოწმება. ამ უკანასკნელმა აღნიშნულის შესახებ ასევე აცნობა მსჯავრდებულ [redacted] ს და შესთავაზა ზარის განხორციელება სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, რასაც პატიმარი დათანხმდა. არაერთი მცდელობის მიუხედავად აპარატთან დაკავშირება კვლავ უშედეგო აღმოჩნდა.

2019 წლის 14 მარტს განხორციელდა ვიზიტი პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში ზემოხსენებული გარემოების ხელახლა გადამოწმების მიზნით. ჩემი რწმუნებული გაესაუბრა დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსს, რომელმაც განმარტა, რომ აპარატთან სატელეფონო კომუნიკაციის ხარვეზთან დაკავშირებით წერილობით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, საიდანაც ეცნობა, რომ სამსახურიდან არ არსებობდა რაიმე სახის ტექნიკური ხარვეზი, რაც შეაფერხებდა აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირებას. აღნიშნულის შემდეგ მსჯავრდებული [redacted]) და ჩემი რწმუნებული კვლავ შეეცადნენ აპარატთან დაკავშირებას, თუმცა ზარის განხორციელება კვლავ ვერ მოხერხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ვერ მოხერხდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე (15 00) დარეკვაც.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციისა[1] და „საქართველოს სახალხო დამცველის"[2] შესახებ ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს და შეისწავლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამოწმებს უფლების დაცვის მდგომარეობას და აღმოაჩენს მათი დარღვევის ფაქტებს.

პატიმართა განსაკუთრებულად მოწყვლადი უფლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კონტაქტი სახალხო დამცველთან განსაკუთრებულ როლს იძენს არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კონტექსტში.[3] სახალხო დამცველთან კომუნიკაციის შეზღუდვის დაუშვებლობაზე არაერთი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტიც მიუთითებს.[4]

შესაბამისად, სახალხო დამცველის კონსტიტუციური მანდატის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობა ისეთ გარანტიებს ითვალისწინებს, როგორიცაა:

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი.

[2] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-12 მუხლი.

[3] გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის 2002 წლის 18 დეკემბრის დამატებითი პროტოკოლი, 17-21 მუხლები.

[4] მაგ. იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2006)2 რეკომენდაცია „ევროპის ციხის წესების შესახებ", პუნქტი 24.3; გაეროს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები, პუნქტი 84.

- სახალხო დამცველისა და მის მიერ უფლებამოსილი პირების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება;[5]
- ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს;[6]
- პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს პატიმრის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის სახალხო დამცველი.[7] აღნიშნული წესი ვრცელდება მაშინაც, როცა პირს დისციპლინური სახდელის სახით შეზღუდული აქვს პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლება.[8]

სახალხო დამცველი ზედამხედველობს წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებულ საქმიანობას.[9] ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან კონტაქტს ამ საქმიანობისთვის სასიცოცხლო ფუნქცია გააჩნია. სწორედ დაწესებულებებში მოთავსებული პირების მეშვეობით ხდება პენიტენციურ სისტემაში არსებული სხვადასხვა სისტემური პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი.

ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან კონტაქტს სახალხო დამცველის აპარატი სხვადასხვა გზით ამყარებს. სახალხო დამცველის რწმუნებულები ყოველკვირეულად ახორციელებენ ვიზიტს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებთან პირადად შეხვედრის მიზნით; ეცნობიან წერილობითი სახით აპარატისთვის გამოგზავნილ კორესპონდენციას; აფიქსირებენ საჩივრებს სატელეფონო ზარების/ცხელი ხაზის მეშვეობით და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ კომუნიკაციის საშუალებებიდან სატელეფონო ზარი სახალხო დამცველის აპარატთან დაკავშირების ყველაზე სწრაფ შესაძლებლობას წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო თვალსაჩინოა განსაკუთრებული რისკისა და დახურულ დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა მიმართებით, რომელთაც მეტი ინტენსივობით აქვთ შეზღუდული წვდომა გარესამყაროს.

სახალხო დამცველის ცხელი ხაზი უფლების დარღვევაზე ეფექტიან რეაგირებას ემსახურება. 2015 წლის ნოემბერში ამოქმედებული ცხელი ხაზის მეშვეობით სახალხო დამცველის აპარატი დაუყოვნებლივ რეაგირებს ისეთ მნიშვნელოვან შეტყობინებებზე, როგორიცაა:

- წამების, სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე;
- უკანონო დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვა;
- ოჯახში ძალადობისა და გენდერული, რასობრივი ან სხვა სახის დისკრიმინაციის ფაქტები, რომელთაც სამართალდამცავი ორგანოები უგულებელყოფენ;
- კანონმდებლობით გარანტირებული უფლების სხვა დარღვევები.[10]

ცხელი ხაზის მეშვეობით მიღებულ საჩივრებზე სახალხო დამცველის რწმუნებულები რეაგირებას

---

[5] საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის" მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტი.
[6] საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის" 98-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
[7] საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-6 ნაწილი.
[8] საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის" 82-ე მუხლის შენიშვნა.
[9] საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის" 32-ე მუხლი.
[10] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 5 ოქტომბრის N264 ბრძანება, მუხლი 3.

ახორციელებენ 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის, არასამუშაო საათებსა და უქმე დღეებშიც.[11] რეაგირების ფარგლებში ხშირად ხდება ვიზიტის განხორციელება დახურულ, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

შესაბამისად, სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე დარეკვა პატიმრისთვის საჩივრის დაფიქსირების ყველაზე ოპერატიულ მექანიზმს წარმოადგენს. აღნიშნული უფლებით სარგებლობა მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახალხო დამცველის აპარატის ეფექტური ფუნქციონირება.

დასკვნა:

შესაბამისად, ჩემი რწმუნებულების მიერ განხორციელებული ვიზიტებისა და გამოვლენილი ხარვეზის ადგილზე გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებიდან პატიმართა მიერ აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირების პრობლემა, რაც ხელს უშლის აპარატის ეფექტიან ფუნქციონირებას ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების ეფექტიანი დაცვის კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, უზრუნველყოთ პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე ხელმისაწვდომობა.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

[11] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 5 ოქტომბრის N264 ბრძანება, მუხლი 2.